

შპს „დარიალის ტერმინალი“ (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	117 841	891
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15 626	-
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	24 152	94 914
მარაგები	91 547	-
მზა პროდუქცია	-	-
სხვა	91 547	-
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7 355	37 369
ბიოლოგიური აქტივები	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-
გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	5 446 097	52 190
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	4 000	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	4 804 365
სულ აქტივები	5 706 618	4 989 729
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	166 306	42 021
ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	38 946	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	14 000	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5 083 840	5 136 541
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	259 247	74 636
სულ ვალდებულებები	5 562 339	5 253 198
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	4 000	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	140 279	- 263 469
გადაფასების რეზერვი	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	144 279	- 263 469
სულ საკუთარი კაპიტალი	144 279	- 263 469
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 706 618	4 989 729
სულ მოკლევადიანი აქტივები	256 521	133 174



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაკები	1 473 824	-
საქონლის გაყიდვიდან	335 413	-
მომსახურების გაწევიდან	1 133 025	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	5 386	-
გაყიდვების თვითღირებულება	- 235 785	-
საერთო მოგება	1 238 039	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	300 881	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 372 949	- 17 500
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 106 595	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	- 351 843	-
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 303 785	- 54 833
სულ საოპერაციო ხარჯები	- 834 291	- 72 333
საოპერაციო მოგება	403 748	- 72 333
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	- 114 986
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	403 748	- 187 319
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	403 748	- 187 319
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	403 748	- 187 319
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	403 748	- 187 319
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	-	-
მოგება / (ზარალი)	403 748	- 187 319
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	403 748	- 187 319
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	403 748	- 187 319
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	- 263 469	-
კაპიტალის გაზრდა	4 000	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	- 76 150
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	144 279	- 263 469



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	118 048
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	118 048
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	- 1 098
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	891
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	117 841

3. [Signature]

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „დარიალის ტერმინალი“ (ს/კ 404949188) დაფუძნებულია 2012 წელს. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უძრავი ქონების მართვა .

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორპ. 19ა, ბინა 42

ფაქტობრივი მისამართი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალის ხეობა

კომპანიის მფობელები არიან:

ლაშა იორდანიშვილი (პ/ნ 01012002881) 40%

იოსებ მჭედლიშვილი (პ/ნ 31001008734) 20%

დავით გიორგაძე (პ/ნ 01026000751) 40%

შპს „დარიალის ტერმინალი“ 2021 წელს დააფუძნა ჯგუფში შემავალი შპს „დარიალი თრეიდი“ (ს/კ 405459338), რომელშიც ფლობს 100%-ან წილს.

ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საწარმო შემოსავლებსა და ხარჯებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდით.



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდით, როცა ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია. თუ ამ მეთოდის გამოყენება ვერ ხერხდება ან მიზანშეწონილი არ არის, მაშინ გამოიყენება საშუალო ფასთა მეთოდი.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების მოდელი.

მატერიალური ფასეულობების შეძენა, რომელთა ღირებულება ერთეულზე არ აღემატება 100 ლარს ან რომელთაც აქვთ სასარგებლო სამსახურის მცირე ვადა 1 წელი ან უფრო ნაკლები და რომლებიც არ შეიტანება სასაქონლო-მატერიალური მარაგის შემადგენლობაში, განიხილება მიმდინარე პერიოდის ხარჯებად.

ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/არამატერიალური აქტივის გამოყენება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ის აიღება შემდეგი ოდენობით:

შენობა-ნაგებობები	- 40 წელი;
მსუბუქი ავტომობილები	- 7 წელი;
სხვა სატრანსპორტო საშუალებები	- 10 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონები	- 5 წელი;
ავეჯი	- 10 წელი;
ოფისის აღჭურვილობა (გარდა ზემოთ აღნიშნულისა)	- 5 წელი;
ლიფტები	- 10 წელი;
კონდიციონერები	- 5 წელი;
გათბობის ქვაბები და სისტემები	- 8 წელი;
სხვა ცვეთადი ძირითადი საშუალებები	- 8-12,5 წელი.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და შესაბამისი ამორტიზაციის პერიოდი განისაზღვრება იმ ვადით, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია ამ აქტივის გამოყენება. თუ არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განუსაზღვრელია, მაშინ მისი ამორტიზაცია არ ხდება. ამასთან, კომპიუტერული პროგრამები (პროგრამული უზრუნველყოფა) არ განიხილება უვადო არამატერიალურ აქტივებად და მათი სასარგებლო სამსახურის ვადა განსაზღვრულია როგორც 5-25 წელი.

ბიოლოგიური აქტივების შეფასება ხდება მათზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯებით, რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასების შეუძლებლობის გამო;

საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. 1 წელზე მეტი ვადაგადაცილებული მოთხოვნები განიხილება საეჭვო ვალებად, თუ არ არსებობს შეთანხმება ვალის გადავადების შესახებ.

3. ვ. ვ. ვ.

საწარმოში მომუშავეთა ხელფასების დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, მუშაკებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. თუ შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არაა, ან მასში არ არის ცალსახად განსაზღვრული შრომითი ანაზღაურების სიდიდე, მაშინ ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერით დამტკიცებული ხელფასის უწყისი.

შპს „დარიალის ტერმინალი“ დირექტორი - ვლადიმერ ლაზარიშვილი

